ოქმი:**ო37. 3726299001**

თარიღი:**26/10/2026**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ ეკა წუწუნავას**

**ანგარიშის მოსმენის სხდომის**

**ოქმი**

2026 წელი, 22 ოქტომბერი
სფელი შემოქმედი
14:00 -15:00-საათი

**თავმჯდომარეობდა:** დავით კიკვაძე-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

**ესწრებოდნენ :** საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დავით კიკვაძე მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. აღნიშნა, რომ ე. წუწუნავა არის პასუხისმგებლიანი, ორგანიზებული საკრებულოს მაჟორიტარი წევრი. აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების მუშაობაში, გამოირჩევა ამომრჩევლებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით.

საკრებულოს წევრმა ე. წუწუნავამ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში. ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომლებიც განხორციელდა ადმინისტრაციულ ერთეულში საანგარიში პერიოდში, აღნიშნა ჯერ კიდევ მოუგვარებელ პრობლემებზე. ამომრჩევლებმა დააყენეს რამდენიმე საკითხი: ცეკვის სტუდიისათვის გამოყოფილი ფართის კეთილმოწყობა, წითელმთის უბანში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, შიდა გზების მოხრეშვა-სანიაღვრე არხების გაწმენდა, იმის გამო, რომ საკურორტო სეზონში ავტომობილების ინტენსიური მოძრაობაა, სოფელში რამდენიმე ადგილას ე.წ. ბარიერების განთავსება, კვირიკეთის უბანის დასაწყისში

დამწვარი შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. განაცხადეს, რომ საკრებულოს წევრის ე. წუწუნავას საქმიანობა უნდა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად. ამომრჩევლებმა აღნიშნეს-საკრებულოს წევრი არის ამომრჩევლებისადმი ყურადღებიანი, არ იშსახურებს შენიშვნებს ამომრჩევლების მხრიდან, პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დავით კიკვაძე და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დავით კიკვაძის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით კიკვაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

